საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN11

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

02 აგვისტო 2022წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. ჯემალი ისაკაძე,7. დავით ცხადაძე, 8. ნატალია ასათიანი, 9.რუსუდან კოვზირიძე, 10.იზა მაგრაქველიძე;
სხდომას არ ესწრებოდა: 0

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 10 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 10 წევრი.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშერულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 ივნისის №7 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10,. წინააღმდეგი-არცერთი;

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი(17.06.2022). მთავრობის ადმინისტრაციის მიერ საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე ხორციელდება სამართლებრივი ექსპერტიზა. საკრებულოს 2022 წლის 1 ივნისის N12 დადგენილების ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშერულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღრიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ" სამართლებრივი ექსპერტიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები: საკრებულოს უფლებამოსილებას არ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყალმომარაგების საფასურის განსაზღვრა, ასევე სასმელი წყლისა და წყალარინებით მომსახურებას უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი ლიცენზიატი. აღნიშნული საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინებით ა(ა)იპ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური, როგორც ტექნიკური წყლის მიმწოდებელი, წყალმომარაგების ლიცენზიატი ვერ გახდება.

ზემოაღნიშნული შენიშვნებიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აუცილებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების გატარება, კერძოდ აღნიშნული დადგენილება ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს;

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა, რუსუდან კოვზირიძემ;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშერულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 ივნისის №7 დადგენილება"

მუხლი 2. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას დასამტკიცებლად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: